

ალექსანდრე ქართველი  
თავის სამუშაო მაგიდას-  
თან, ფოტო პრესისტვის,  
1942 წელი.  
ფოტო: ავიაციის აკვნის  
მუზეუმი (აშშ).



შოთა რუსთაველის სახარტავლოს  
ეროვნული სამეცნიერო ფონდი  
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE  
FOUNDATION OF GEORGIA

# რუსთაველის ფონდის სტიპენდიები

უდიდესი სტიპენდი  
ახალგაზრდა  
მეცნიერებისთვის

**მსოფლიოში ცნობილი ავიაკონსტრუქტორის, ალექსანდრე ქართველის (ალექსანდრე ქართველის) სახელობის სტიპენდია ინჟინერიის და ტექნოლოგიების მცენიერების მიმართულების კონკურსში გამარჯვებულ მცენიერს მიენიჭება.**

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა და განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრომ გადაწყვიტა, ახალგაზრდა მეცნიერთა წახალისებისა და სტიმულირებისთვის ყოველწლიური სახელობითი სტიპენდიები დააწესოს; კონკურსის მიზანი ახალგაზრდა მეცნიერების წახალისებაა.

„ჩვენი ფონდი აფინანსებს სამეცნიერო კვლევებს და ეკონომიკური თანამშრომლობის და, განვითარების ორგანიზაციის (OECD) კლასიფიკატორის შესაბამისად, აწესებს სტიპენდიებს შვიდი სამეცნიერო მიმართულებით. თითოეული მიმართულება ცნობილი მეცნიერების, ეროვნული მოღვაწეების სახელობისაა: ნიკო კეცხოველის სახელობის სტიპენდია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით



ახალგაზრდა ალექსანდრე ქართველი ნიუ-იორკში.  
ფოტო: ალექსანდრე ქართველის საოჯახო არქივი/  
ალექსანდრე ქართველის ასოციაცია

გაიცემა, ალექსანდრე ქართველიშვილის სახელობის სტიპენდია ინჟინერიის და ტექნოლოგიების მეცნიერებების მიმართულებით, ივანე ბერიტაშვილის სახელობის სტიპენდია სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებების მიმართულებით, დავით სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდია აგრარული მეცნიერებების მიმართულებით, დიმიტრი უზნაძის სახელობის სტიპენდია სოციალური მეცნიერებების მიმართულებით, ივანე ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდია ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით, ხოლო ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სტიპენდია საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით“, – ამბობს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი გვიად გაბისონია.

სახელობითი სტიპენდიების გაცემის პრინციპი შეიცვალა, ისინი ახალგაზრდა მეცნიერებს მიენიჭებათ არა სამეცნიერო ბიოგრაფიის



მოდის დრო, რომელსაც წარმო-  
სახვა, რომელსაც მეცნიერება  
და კვლევა უმაბრებს გუჩებს,  
ყველაზე მნიშვნელოვან ლი-  
ნებულებად იქცევა“.

**ალექსანდრე ქართველი, 1960**

მიხედვით, არამედ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში მიღწეული სამეცნიერო შედეგებისთვის. გამარჯვებულ მეცნიერებს ყოველწლიურად დაასახელებენ მეცნიერების და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალის დახურვის სახეივო ცერემონიაზე. სტიპენდიანტები 1 წლის განმავლობაში ყოველთვიურად მიიღებენ 1250 ლარს. „ჩვენი მიზანია მეცნიერების პოპულარიზაცია, ახალგაზრდა მეცნიერების წახალისება. გვინდა, რომ მათ ყოველწლიურად ჰქონდეთ სტიმული, გადააბარონ ესტაფეტა სხვას ან, თუნდაც, შეინარჩუნონ მიღწეული წარმატება. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შევლენ შესაბამისი დარგების აღიარებული მეცნიერები“, – გვეუბნება ფონდის ხელმძღვანელი და დასძენს, რომ ინჟინერია და ტექნოლოგიები საქართველოსთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იქცეს, რადგან ეს არის გამოყენებით კვლევებზე ორიენტირებული სფერო, რომელსაც დიდი ეკონომიკური პოტენციალი აქვს ქვეყნის განვითარებისთვის. სწორედ ამიტომ გადაწყდა, რომ ერთ-ერთი სტიპენდია ალექსანდრე ქართველიშვილის სახელობის ყოფილიყო.

ალექსანდრე ქართველიშვილი მსოფლიო დონის ავიაკონსტრუქტორი გახლდათ, რომელმაც საქართველოდან ემიგრირების შემდეგ მთელი ეპოქა შექმნა ამერიკულ ავიაციაში; მან უდიდესი როლი ითამაშა მეორე მსოფლიო ომში; მის მიერ შექმნილი ავიაგამანადგურებლები აშშ-ის საჰაერო ძალების წარმატების მთავარ ფაქტორად იქცა. მის მიერ შექმნილი თვითმფრინავი Republic P-47 (Thunderbolt, მეხთამფრქვევი) ომის წლებში შეერთებული შტატების საჰაერო ძალების ერთ-ერთ მთავარ, ყველაზე პოპულარულ თვითმფრინავს წარმოადგენდა. ლეგენდარული



ალექსანდრე ქართველი თავის დასთან, თამართან ერთად. 1900-იანი წლები.  
ფოტო: Aviation Media LLC/დიმიტრი ერისთავის ოჯახი.

რომელსაც მეცნიერება და კვლევა უმაგრებს ზურგს, ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებად იქცევა“.

ალექსანდრე ქართველიშვილის ასოციაცია 2014 წელს დააარსდა და მისი მიზანი საზოგადოებისთვის ამ დიდი მეცნიერისა და ინოვაციის მოღვაწეობის გაცნობაა. მისი დამფუძნებლები რეჟისორი რამაზ ბლუაშვილი და ამერიკელი ბიზნესმენი რიჩარდ რუბინი არიან. ჩვენ შესაძლებლობა მოგვცა მათთან გვესაუბრა ალექსანდრე ქართველიშვილის შესახებ:

**„14 ლეგენდარული თვითმფრინავის მიღმა ძალზე მელანქოლიური ადამიანი იდგა“ – ამბობს რამაზ ბლუაშვილი.**


**პირველად როდის გაიგეთ ამ პიროვნების შესახებ და დაინტერესდით მისი საქმიანობით?**

1980-იან წლებში საქართველოში რამდენიმე გამოცემაში, მათ შორის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა სტატიები ალექსანდრე ქართველის შესახებ, მაგრამ მე ამის თაობაზე არაფერი ვიცოდი... მხოლოდ გაგონილი მქონდა, რომ არსებობდა წარმოშობით ქართველი ავიაკონსტრუქტორი. მოგვიანებით შევუდექი ქართველის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, თუმცა მასალა ძალზე მწირი იყო – ვიკიპედიაში რამდენიმე სიტყვით ვწერა, რომ იყო ასეთი ქართველ-ამერიკელი კონსტრუქტორი, მეც თავდაპირველად მის მიერ შექმნილი მართლაც ლეგენდარული თვითმფრინავების სია მოვიძიე და შემდეგ ერთ ნაბიჯს მეორე მოჰყვა...

**ქართველის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი ცხოვრება და საქმიანობა გასაიდუმლოებული იქნებოდა. ვინ დაგეხმარათ ამერიკის შეერთებულ შტატებში მის შესახებ მასალის მოპოვებაში?**

დიახ, ასეა. მის შესახებ ინფორმაცია დაცულია სამხედრო-საჰაერო ძალებში, პენტაგონსა და NASA-ში. ამ ორგანიზაციების კარის გაღება არც ისე ადვილია, მაგრამ ვცადე და, უნდა გითხრა, რომ ალექსანდრე ქართველის სახელმა ბევრი მჭიდროდ გადარაბული კარი გამიღო აშშ-ში; პენტაგონის და NASA-ს არქივში უნიკალური მასალები აღმოვაჩინე.

ქართველს მართლაც საოცარი ბიოგრაფია ჰქონდა, 1919 წელს გაემგზავრა საქართველოდან საფრანგეთში სასწავლებლად, 1922



ქართველი, რომელსაც მსოფლიო ავიაციის მშვენიერი დაიკურა.

ალექსანდრე ქართველის მიერ შექმნილი ლეგენდარული თვითმფრინავების მოდელები.  
ფოტო: ალექსანდრე ქართველის ასოციაცია

წელს დაამთავრა პარიზის ავიაციის ინჟინერიის ინსტიტუტი. პარიზში დაუჭერებელი ამბავი გავიგე – ქართველიშვილს დიპლომი არ აუღია, ისე წავიდა აშშ-ში და მისი დიპლომი მე გამომატანეს, რომელიც დღეს ჩემს სახლში, საქართველოში ინახება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრე ქართველი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ავიაინჟინერია. არაერთ ცნობილ ავიაციის ისტორიკოსს უთქვამს ჩემთვის, რომ იგი მსოფლიო ავიაციის გრანდების სამეულშია.

მან შექმნა 14 თვითმფრინავის მოდიფიკაცია, და ეს იმ ეპოქაში, როდესაც არც კომპიუტერი არსებობდა, არც სხვა თანამედროვე ტექნოლოგიები და ყველაფერს ხელით საზავდნენ. იგი ავიაციის გენიოსი იყო.

**რას მიიჩნევთ მის მთავარ დამსახურებად ამ სფეროში?**

ავიაცია ჯერ კიდევ ახალგაზრდა ინდუსტრიაა, 2003 წელს გახდა 100 წლის; სწორედ მის სათავეებთან იდგა ალექსანდრე ქართველი; მის მიერ პარიზში შექმნილმა პირველივე თვითმფრინავმა 1924 წელს სიჩქარის რეკორდი დაამყარა. მან ცნობილ ავიაინჟინერ ალექსანდრე სევერსკისთან ერთად შექმნა რამდენიმე თვითმფრინავი, გასაშლელი შასი სამხედრო თვითმფრინავებისთვის. მის შექმნილ მრავალ თვითმფრინავს აქვს დამყარებული სიჩქარის რეკორდი თავის დროზე და ის არის ავტორი II მსოფლიო ომის დროინდელი ავიაგამანადგურებლებისა, მათ შორის P-47 Thunderbolt-ისა

და ოდნავ მოგვიანებით შექმნილი A-10-ისა, რომელიც დღემდე აშშ-ის საჰაერო ძალების და ნატოს შეიარაღებაშია.

**რა არის ცნობილი მისი პირადი ცხოვრების შესახებ?**

პირადი ცხოვრება ფაქტობრივად არ ჰქონდა; ემიგრაციაში დედასთან ერთად წავიდა, მისი ოჯახი – მამა და და, ქალბატონი თამარი, ცნობილი მხატვრის, დიმა ერისთავის დედა – საქართველოში დარჩა. ბუნებრივია, მათ კონტაქტი არ ჰქონიათ. საინტერესო ფაქტია, რომ 1937 წელს, საბჭოთა კავშირში სასტიკი რეპრესიების დროს, თამარმა თბილისში მიიღო წერილი ალექსანდრესგან, რომელშიც ის წერდა, რომ კარგად იყო და ოჯახს დახმარებას სთავაზობდა. ქალბატონი თამარი აიძულეს, რომ ძმისთვის მიეწერა – შენ მოლაღატე ხარ, მეტი აღარ მოგვწერო. მაშინ სხვა გზა არ იყო. თამარმა ამით ოჯახი გადაარჩინა და აშშ-ში მყოფმა ალექსანდრემაც, ცხადია, ზუსტად აღიქვა ეს გზავნილი. მას შემდეგ მათ ურთიერთობა აღარ ჰქონიათ. მხოლოდ 1972 წელს შეატყობინეს თამარის გარდაცვალება ალექსანდრე ქართველს დეპეშით, მან კი პასუხად მხოლოდ ერთი წინადადება გამოგზავნა: „ბედნიერია, რომ ქართულ მიწაზე დაიმარხება“. ასე რომ, 14 ლეგენდარული თვითმფრინავის მიღმა ძალიან სევდიანი, მელანქოლიური ადამიანი იდგა. ალექსანდრე ქართველს ჰყავდა ამერიკელი მეუღლე – ჯენი რობინსი, მემკვიდრე არ დარჩენია.



სრულიად შესაძლებელია ჩვენი სკოლის ისე გაღრმავება, რომ მოვაჩვენოთ ბავშვებს და ვენახსა და მათს მივალწი-ოთ, მოვაჩვენოთ ენთუზიაზმი, შემოქმედებითობა და გაბეჯადობა ბავშვებს“.

**ალექსანდრე ქართველი,**  
1958 წლის 26 მაისი

**რა არის ალექსანდრე ქართველიშვილის ასოციაციის მიზანი?**

ასოციაცია რიჩარდ რუბინმა და მე დავაარსეთ. რიჩარდი საქართველოს დიდი მეგობარია. ჩვენმა ასოციაციამ 2016 წელს საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ერთად მოაწყო ალექსანდრე ქართველის გამოფენა. მოგვიანებით თავისუფალ უნივერსიტეტშიც გაიხსნა მისი მოღვაწეობის ამსახველი მუდმივი ექსპოზიცია... მიმდინარე წლის 6-9 ივნისს ვაშინგტონში გაიმართა კოსმოსის განვითარების საერთაშორისო კონფერენცია – ეს არის კოსმოსის და კოსმოსური ინჟინერიის ყველაზე დიდი კონფერენცია მსოფლიოში და ალ. ქართველიშვილის ასოციაცია ამ კონფერენციის ერთ-ერთი სპონსორი იყო. კონფერენციის ფარგლებში ჩატარდა ქართველისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომლის ერთ-ერთი მხარდაშეწერია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

**მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის განვითარება და პოპულარიზაცია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის უმთავრესი მისიაა, როგორ თანამშრომლობთ ფონდთან?**

დიახ, ქართველის ასოციაციისა და, ასევე, ჩემ მიერ საქართველოში დაარსებული მეცნიერებისა და განათლების პოპულარიზაციის ფონდის მიზანი STEM-ის (მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია, მათემატიკა) პოპულარიზაციაა მოსწავლეებსა და სტუდენტებში და ამ მიმართულებით ამერიკულ-ქართული ურთიერთობების

გაღრმავება. საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან ერთად არაერთ სასიკეთო ნაშრომს ვგეგმავთ.

**შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა ახლახან დააარსა ქართველიშვილის სტიპენდია, რომელიც მიენიჭება ახალგაზრდა მეცნიერ ინჟინერიისა და ტექნოლოგიების მიმართულებით. იქნება თუ არა ეს სტიმული ახალგაზრდა მეცნიერებისთვის?**

რა თქმა უნდა, მართლაც მისასალმებელი ეროვნული საქმეა. მინდა მადლობა გადავუხადო ფონდს და მის გენერალურ დირექტორს, ზვიად გაბისონიას ამ ინიციატივისთვის. ჩვენც მაქსიმალურად დავუდგებით მას გვერდში. დაკვირვებული ვარ, რომ როდესაც ჩემს საჯარო ლექციებზე ახალგაზრდები იგებენ, თუ რამოდენა პიროვნება იყო ალექსანდრე ქართველი, უდიდესი სტიმული ეძლევათ, რომ თვითონაც საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს მიაღწიონ. ქართველი თვალნათელი მაგალითია იმისა, თუ რამდენს მიაღწია უცხოეთში ქართველმა ემიგრანტმა, რომელიც თბილისში, ტაბიძის ქუჩაზე დაიბადა. მან არა მარტო თავი დაიმკვიდრა უცხოეთში, არამედ მსოფლიო ავიაციის უმაღლესი მწვერვალი დაიპყრო. დღევანდელი საინფორმაციო ტექნოლოგიების ხანაში, როდესაც პრაქტიკულად „ჭიბეში უდევთ“ მსოფლიო – მობილურ ტელეფონს ვგულისხმობ – გაცილებით მეტი შესაძლებლობები აქვთ ახალგაზრდებს.

**„მის თვითმფრინავებში მომავლის ხედვა ჩანს“ – რიჩარდ რუბინი, ალექსანდრე ქართველის ასოციაციის პრეზიდენტი.**

**რით არის თქვენთვის საინტერესო ალექსანდრე ქართველი?**

ალექსანდრე ქართველის პირადი ცხოვრება, თავგადასავალი, მისი პროფესიული კარიერის პარალელურად ვითარდებოდა. მისი წვლილი ავიაინჟინერიაში უდიდესია. მისი ღვაწლის მასშტაბურობა იმდროინდელი ეპოქის გამომწვევებთან ერთად იზრდებოდა.

ალექსანდრე ქართველი დაიბადა თბილისში 1896 წლის 9 სექტემბერს. ომისგან გახლენილი ევროპიდან იგი აშშ-ში გადავიდა სამუშაოდ, მისი მოქალაქე გახდა და მტკიცედ უთხრა „არა“ ბოლშევიზმს. მრავალი წარუმატებელი ცდის შემდეგ მან შეძლო, აეწყო და გაეყიდა საკუთარი რევოლუციური, მოწინავე საფრენი აპარატი დიდი დეპრესიის პერიოდში. ქართველი ხელმძღვანელობდა ავიაინჟინერთა არაერთ გუნდს, რომელთა მიერ



ალექსანდრე ქართველი P-47-ის პილოტთან ერთად. ფოტო: ალექსანდრე ქართველის ასოციაცია

შექმნილი თვითმფრინავი დღესაც მოქმედია. ალექსანდრე ქართველმა დიდი წვლილი შეიტანა ზებზერითი სიჩქარის თვითმფრინავების აეროდინამიკის თეორიაში. იგი არაერთი ინოვაციის ავტორია, რის შესახებაც დღეს ბევრმა არ იცის.

**რა არის თქვენი ასოციაციის მიზანი?**

ამ არაორდინარულმა ქართველმა უდიდესი როლი შეასრულა აშშ-ის ბრძოლაში ჰიტლერის წინააღმდეგ, შემდგომ კი კორეისა და ვიეტნამის კონფლიქტებში; ასე რომ, გენიალურმა ავიაინჟინერმა მრავალი თვალსაზრისით უდიდესი როლი ითამაშა აშშ-ის ისტორიაში, საბრძოლო თვითმფრინავების ახალი თაობის განვითარებაში.

ქართველმა დიდი წვლილი შეიტანა ულტრაბერითი თეორიის და კოსმოსური ფრენის განვითარების საქმეში, იყო NACA-ს (აერონავტიკის ნაციონალური საკონსულტაციო კომიტეტი) – დღევანდელი NASA-ს (აერონავტიკის და კოსმოსის ეროვნული სამმართველო) წინამორბედის მრჩეველი. მისმა მუშაობამ შექმნა ბაზისი, ნიადაგი მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდის – შატლის შექმნაში; მაგალითად, X-1 იყო პირველი

პილოტირებული საჰაერო ხომალდი, რომელმაც გაარღვია ბერითი ბარიერი.

ქართველმა ცხოვრება მიუძღვნა ოცნებას, ჰქონოდა ფრთები და მტკიცედ მისდევდა ამ მიზანს – მის თვითმფრინავებში მომავლის ხედვა ჩანდა. მან თვალი აგვიხილა და გვიჩვენა, თუ როგორ უნდა გავაერთიანოთ ჩვენი გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობები და გამოვიგონოთ.

ალექსანდრე ქართველის თავგადასავალი და მისი წვლილი ავიაციის, საინჟინრო მეცნიერების განვითარებაში, ქართულ-ამერიკულ ურთიერთობაში განსაკუთრებულია. ჩვენ მიერ დაარსებულმა ალექსანდრე ქართველის ასოციაციამ 2014 წლიდან ყოველი ღონე იხმარა, რათა ქართველის საქმიანობის შესახებ რარიტეტული კადრების, ფოტომასალისა და არტეფაქტებისთვის მოგვეყარა თავი და მისდამი მიძღვნილ ვებგვერდზე განვეთავსებინა; ალექსანდრე ქართველის ასოციაციის მიზანი მისი სახელისა და მეცნიერებაში შეტანილი დიდი წვლილის პოპულარიზაციაა.